



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 43

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. გარდაბანი  
30.05.2024

43-06-4-202405301716



„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 24 მაისის №18-1824145130 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა და წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №15 განკარგულებაში და განკარგულების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი 1 - „მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა“ ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე